



ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა 2018-2025 წლებისათვის

**1. ინტერნაციონალიზაციის არსი და მიზანი**

ქართული უნივერსიტეტის მისიის ეფექტურად შესრულების, საერთაშორისო ასპარეზზე ქართული უნივერსიტეტის მიღწევების გაცნობისა და საგანმანათლებლო ბაზარზე დამკვიდრების მიზნით ქართულმა უნივერსიტეტმა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი.

ეს არის დროში გაწერილი დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდას; საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ქსელებში ჩართულობას; საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას; უცხოელი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოზიდვას; კურსდამთავრებულების მსოფლიოს შრომით ბაზრისთვის კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბებას; ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობასა და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვა-ინტეგრაციას; უნივერსიტეტის კვლევის და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას.

**2. ძირითადი მიმართულებები**

უნივერსიტეტი მხარს უჭერს და ანვითარებს შემდეგ მიმართულებებს:

- 2.1 საერთაშორისო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის დამყარება და გაძლიერება;
- 2.2 საზოგადოებაში უნივერსიტეტის შესახებ ცნობადობის და საერთაშორისო იმიჯის ამაღლება;
- 2.3 სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა;

**ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას ახორციელებენ:**

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია
- სკოლები
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და ენების ცენტრი
- საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური
- ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური

### 3. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები

ქართული უნივერსიტეტი ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გასაძლიერებლად და ინტერნაციონალიზაციის დონის ასამაღლებლად იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

3.1 უნივერსიტეტის ვებგვერდის, სოციალური ქსელების, ელ. ფოსტის, განცხადებების დაფის და საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო გრანტების, საერთაშორისო მოხილობის და სხვა სასწავლო-სამეცნიერო პროექტების შესახებ:

ინდიკატორები:

- 3.1.1 გაზრდილია ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ჩართულობის რაოდენობა.
- 3.1.2 მეტი ჩართულობის წახალისების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით, უნივერსიტეტში შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტები.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია:

ინდიკატორები:

- 3.2.1 საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად, მათი რეკომენდაციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება (ცალკეული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შემუშავება), რომელიც მომავალში გაუადვილებს ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო მოხილობის განხორციელებას.
- 3.2.2 უნივერსიტეტის შესახებ ინგლისურენოვანი საინფორმაციო ბუკლეტის და უცხოელი სტუდენტებისთვის გზამკვლევის მომზადება.
- 3.2.3 უნივერსიტეტის ვებგვერდზე შესაბამისი ინგლისურენოვანი ინფორმაციის განთავსება.

3.3 თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით უცხო ენის სწავლების ხელშეწყობა.

ინდიკატორი:

- 3.3.1 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამამთავრებელ კურსზე, სტუდენტის უცხო ენის ცოდნის დონე უნდა შეესაბამებოდეს B2 საფეხურს

3.4 უნივერსიტეტის საერთაშორისო იმიჯისა და თანამშრომლობის გაზრდის მიზნით, ასევე თანამედროვე მიღწევებისა და გამოცდილების გასაზიარებლად, სწავლების პროცესში, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი და უცხოეთში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების ჩართვა.

ინდიკატორები:

- 3.4.1 საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებსა და ფორუმებზე მონაწილეობა
- 3.4.2 შესაბამისი პირების სწავლების პროცესში ჩართულობის რაოდენობის ზრდა

3.5 საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება:

ინდიკატორები:

- 3.5.1 შესაძლო პარტნიორი უნივერსიტეტების მოძიება და თანამშრომლობის დამყარება (ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები)
- 3.5.2 საერთაშორისო აქტივობებში (კონფერენციები, საჯარო ლექციები, ტრენინგები, სამეცნიერო სტატიები, პრაქტიკები და სხვ.) სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა
- 3.5.3 გაწევრიანება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორცაა: EUA (European University Association), EAIE (European Association for International Education), IAU (International Association of Universities) და სხვ.
- 3.5.4 საერთაშორისო საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზება

3.6 საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა:

ინდიკატორები:

- 3.6.1 ქართულ-ინგლისურ ენოვანი სამეცნიერო ჟურნალი „ქართული უნივერსიტეტის შრომების“ გამოცემა.
- 3.6.2 ჟურნალის ინტეგრირება საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობა ELSEVIER-ის სისტემაში.

3.7 თანამშრომლობის გაფართოება საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან

ინდიკატორი:

- 3.7.1 თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება